

# დედიკო

## საქმიანობის შესახებ

სოციალური საწარმო „დედიკო“ ფონდი კონსტანტას ახალი პროექტია, რომელმაც ფუნქციონირება 2021 წელს დაიწყო და მარტოხელა დედების მხარდაჭერისკენაა მიმართული. „დედიკოს“ **სოციალური მისიაა** საქართველოში მცხოვრები მარტოხელა დედებისა და მათი შვილების ცხოვრების პირობების გაუმჯობესება დასაქმებისა და შემდგომი განვითარების შესაძლებლობების მიცემის გზით.







## პროდუქცია

სოციალური საწარმო „დედიკო“ მომხმარებელს სთავაზობს ეკოლოგიურად სუფთა, ბუნებრივი მასალისგან შეკერილ სხვადასხვა პროდუქტს. ჩამონათვალშია:

- **ბავშვისა და მოზრდილის ჩანთები**
- **ზურგჩანთები**
- **შარფები**
- **სადღესასწაულო და ყოველდღიური მოხმარების სუფრები**

„დედიკო“ პროდუქციის შექმნისას იყენებს ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო მასალებს, რომლებიც შეესაბამება საერთაშორისო უსაფრთხოების სტანდარტებს და მოპოვებულია ყველა საჭირო პროცედურის დაცვით.

## სოციალური შედეგები

- სოციალურ საწარმოში გადამზადება გაიარა და კერვისათვის საჭირო უნარ-ჩვევები შეიძინა ოთხმა მარტოხელა დედამ
- დასაქმებულ პირთა ანაზღაურება შეესაბამება შრომის ბაზრის განაკვეთს




+995 599 556 337;  +995 599 303 434

tamar.lebanidze@constantafoundation.ge

https://www.facebook.com/DedikoSocialEnterprise

თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ., მე-6 კვარტალი,
კორპ. #5ა, სადარბაზო #3, ბინა #55


